

# წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირების სინტაქსური საშუალებები პოლიტიკურ დისკურსში

ნინო ფხაკაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: nino.pkhakadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2023.30.06>

*სოციუმი და ენა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ენის საზოგადოებრივი დანიშნულება სოციუმის წევრთა შორის აზრთა ურთიერთგაცვლის საჭიროებამ განსაზღვრა. კომუნიკაცია ორმხრივია და თავისთავად გულისხმობს საკომუნიკაციო ინსტრუმენტის იმგვარ მოდელირებას, რომელიც კომუნიკაციის შინაარსს გახდის გასაგებს. ინფორმაცია გარესამყაროს საგნებისა და მოვლენების, მათი ურთიერთკავშირების შესახებ მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. მათი ლინგვისტური გარდაქმნა არის არა ქაოსური, არამედ მოწესრიგებული. ინფორმაციის ლინგვისტური გარდასახვა ენის მეშვეობით არის შესაძლებელი. ენა მამოდელირებელი სისტემაა.*

**საკვანძო სიტყვები:** ინფორმაციის ლინგვისტური გარდასახვა, ენა, მამოდელირებელი სისტემა.

ინფორმაციის რეალიზების ენობრივი დიაპაზონი ფართოა. წინადადება ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია. ეს მნიშვნელობა იზრდება ტექსტის ფარგლებში, რადგან ეს უკანასკნელი ენობრივი სემანტების მიმართებებს საერთო შინაარსობრივ-სტრუქტურულ ჩარჩოში წარმოაჩენს.

სამეცნიერო ხედვა ლინგვისტური ანალიზის ფუნქციური პარადიგმით წარმართვის შესახებ ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების წინაპირობად იქცა. ცნობილია, რომ სტრუქტურალისტური მიდგომით წინადადება ლინგვისტური ანალიზის უმაღლეს დონედ განიხილებოდა. სტრუქტურული ლინგვისტიკა (ამერიკული დესკრიპტივიზმი - ე. სეპირი, ლ. ბლუმფილდი; დანიური გლოსემატიკა - ლ. იელმსლევი; პრადის ლინგვისტური წრე - რ. იაკობსონი) იკვლევდა სისტემას - ენობრივ ელემენტებს (ფონემები, მორფემები, სიტყვები, წინადადებები), რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდებოდა ენის შინაგანი კანონების დადგენა „სტრუქტურული მთლიანობის“ მიხედვით. ფუნქციურმა ლინგვისტიკამ შეცვალა მიდგომა. აქ უპირატესობა მიენიჭა არა სისტემის ელემენტების შესწავლას, არამედ ენობრივი ერთეულის როლის ანალიზს. ამგვარი მიდგომა თავდაპირველად წინადადების ფარგლებში გამოიკვეთა, შემდეგ ენობრივი ერთეულების რეალიზების დიაპაზონი გაიზარდა და წინადადების მიღმა -

ტექსტის დონეზე - წარმოჩნდა. ასე „დაიბადა“ ბ. პალეკის ჰიპერსინტაქსი, ვან დეიკის მაკროსინტაქსი (1980), ვ. დრესლერის ტექსტის სინტაქსი (1978), რომელთათვისაც ტექსტმა გააერთიანა ენობრივი ერთეულების ფუნქციობა ერთ სტრუქტურულ-შინაარსობრივ მთლიანობაში.

ვერბალიზებული სტრუქტურა სათანადო შინაარსით ქმნის ტექსტის კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომლის ფორმირებაც „გარკვეულ წესებს“ ემორჩილება (Tannen...2015). სინტაქსური მექანიზმი ინფორმაციის სტრუქტურირების საშუალებაა სხვა ენობრივ ერთეულებთან ერთად (van Dijk 2016).

ტექსტები განსხვავებულია ჟანრობრივად, ქრონოლოგიურად, ავტორების მიხედვით. მნიშვნელოვანია დისკურსული განზომილებების ანალიზი. ენის რეალიზება კონტექსტურ გარემოში ენობრივი ინსტრუმენტების მიზნობრიობას გულისხმობს. ისეთი ტექსტები, რომლებიც საზოგადოებაზე ზეგავლენის ფუნქციის მატარებელია, ენობრივი მექანიზმის ანალიზისათვის განსაკუთრებით საინტერესოა. კომუნიკაციის მთავარი ფუნქცია ინფორმაციის გადაცემაა. ინფორმაციის ყველა ელემენტი ერთნაირად ღირებული არ არის. ლინგვისტური მიდგომა ამიტომაც საჭიროებს ენის პრაგმატიკული ასპექტის გათვალისწინებას. პრაგმატიკულად მთავარი ღირებულების მქონე ცენტრალური ელემენტი აქტუალიზდება სხვადასხვა ლინგვისტური ხერხით. აქტუალიზებული ელემენტის ფორმალური მარკირებით ხდება ინფორმაციის მოდელირება.

ამჯერად განვიხილავთ საქართველოს პრეზიდენტთა (ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის, გიორგი მარგველაშვილის) პოლიტიკურ სიტყვებს, კონკრეტულად იმ მონაკვეთებს, რომლებშიც ლიდერები იყენებენ სხვადასხვა არგუმენტაციულ სტრატეგიას, კერძოდ, აპელირებენ ფასეულობის არგუმენტზე.

ქართველი პრეზიდენტების პოლიტიკური გამოსვლების ანალიზი ფასეულობის სტრატეგიის მიხედვით წარმოაჩენს შემდეგ ფასეულობებს: **დემოკრატია, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სახელწიფო, საზოგადოება, ეროვნულობა, კანონი, ეკონომიკა, კონსტიტუცია, მშვიდობა, სტაბილურობა, ინსტიტუტები, შვილები, უსაფრთხოება, სკოლა, წინსვლა, სიახლე, უნიკალურობა, ტოლერანტულობა...**

წინადადების მოდელირებისათვის გამოყენებულია საინფორმაციო სტრუქტურის ორგანიზების სხვადასხვა სინტაქსური საშუალება: ფუნქციონალური აქტუალიზება, სიტყვათა რიგი, ლოკატივები, სინტაქსურად ჭარბი ერთეულები, ე.წ. CLEFT კონსტრუქციები, მეშველზმნიანი კლიტიკური კონსტრუქციები.

ქართულ ენაში აფიქსების სიმრავლე განაპირობებს სიტყვათა რიგის თავისუფლებას (შანიძე 1948; დავითიანი 1973; აფრიდონიძე 1986...), თუმცა ეს თავისუფლება აბსოლუტური არ არის. ზედსართავი - სახელის წინ, ზმნიზედები და დამატებები - სახელზმნის წინ,

კითხვითი სიტყვა - ზმნის წინ (აფრიდონიძე 1986) განსაზღვრავენ სიტყვათა არამარკირებულ რიგს ამგვარი სახით: SOV (უმეტესად სამწერლობო ენაში)/SVO (უმეტესად სამეტყველო სტილში). სხვაგვარი შემთხვევები განიხილება სიტყვათა მარკირებულ რიგად (ასათიანი 2009). ინფორმაციის სასურველი მონაკვეთების ხაზგასასმელად წინადადების საწყისი პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პოლიტიკურ დისკურსში გვხვდება ლოკატიური ფრაზების არამარკირებული პოზიციიდან (წინადადების ბოლოდან) მარკირებულ პოზიციაში (წინადადების დასაწყისში) გადანაცვლება.

ზვიად გამსახურდიასთვის პრიორიტეტულია შემდეგი **ფასეულობები: დემოკრატია, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სახელმწიფო, საზოგადოება, ეროვნულობა** და სხვა. ზვიად გამსახურდიას ნარატივში წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირების პროდუქტიული ხერხია ლოკატიური ფრაზების საწყის პოზიციაზე წარმოდგენა, ისინი ხშირად უსწრებენ სახელს, რომლის ლოკალიზებაც ხდება. ასეთი მარკირებული სიტყვათა რიგი მიზანმიმართულად გამოიყენება და ხაზს უსვამს გადმოსაცემ შინაარსში ადგილის კონცეპტუალურ მნიშვნელობას პოლიტიკური სიტუაციების ანალიზისას: „...საბჭოთა საქართველოში დაიწყო საბჭოური სტრუქტურების დემონტაჟი და **ეროვნულ-სახელმწიფოებრივი** აღმშენებლობის პროცესი“; „...პროსაბჭოური *იმპერიული სინამდვილიდან საქართველო* დაადგა **დემოკრატიული** განვითარების გზას“; „*არჩევს თანავე* ახალი **ხელისუფლება** ურთულესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.“

ზვიად გამსახურდიასთან გამოიყენება ასევე მიმართვის ფორმები, როგორც ფილერები : „...ჩვენი ბრძოლა, *ძვირფასო მეგობრებო, საქართველოს* დამოუკიდებლობისთვის, **თავისუფლებისთვის** საბოლოო ფაზაში შედის..“. მიმართვის ფორმა ტოპიკის მომდევნო პოზიციაში საერთოობის განცდას ზრდის და ფილერის პრაგმატიკულ ფუნქციას წარმოაჩენს.

ედუარდ შევარდნაძისთვის აქტუალური ფასეულობებია: **სახელმწიფო, დამოუკიდებლობა, საზოგადოება, კანონი, დემოკრატია, ეკონომიკა, უმუშევრობა, კონსტიტუცია** და სხვა. იგი ძველი და ახალი რეალობის დაპირისპირებით ცდილობს შთაბეჭდილების მოხდენას. კონტრასტის შესაქმნელად გამოყენებულია სინონიმური ზმნები მტკიცებით და უარყოფით ფორმაში პარალელურ წინადადებებში. მაგ., „სამი წლის წინათ, პრაქტიკულად, ლეგიტიმური **ხელისუფლება არც გვექონდა. გვექონდა სახელმწიფო საბჭო,** მაგრამ **სახელმწიფო არ გაგვაჩნდა.** დღეს **სახელმწიფო,** ასე თუ ისე, *გვაქვს.* მართალია, ის სრულყოფას მოითხოვს, მაგრამ ლეგიტიმური **ხელისუფლება** და **სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო** ფაქტობრივად *არსებობს.*“

დაპირისპირებულ მონაცემთა შედარების გასამმაფრებლად აქაც გამოყენებულია სიტყვათა მარკირებული რიგი, გვხვდება გარემოებითი სიტყვები საწყის პოზიციაში, მათი მიმართება ანტონიმურია: „...*სამი წლის წინათ* ჩვენ გვექონდა მხოლოდ **კანონი** ხელისუფლების

შესახებ. *დღეს გვაქვს დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე მიღწევების დონეზეა შექმნილი*; „...*სამი წლის წინათ* საერთოდ არ ფუნქციონირებდა საქართველოს **მომლილი ეკონომიკა**“; „...*სამი წლის წინათ* მძვინვარებდა სამოქალაქო ომი, **საზოგადოება** დახლეჩილი იყო მტრულ ბანაკებად. *დღეს მშვიდობა, სტაბილურობა* ქვეყნის აღმშენებლობის განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა“.

მიხეილ სააკაშვილთან აქტუალური ფასეულობებია: **სახელმწიფო, სახლი, საზოგადოება, დემოკრატია, ინსტიტუტები, შვილები, უსაფრთხოება, სკოლა, წინსვლა, სიახლე** და ა.შ. მიხეილ სააკაშვილის ნარატივში ფასეულობის სტრატეგიის რეალიზებისთვის გამოყენებულია ფუნქციონალური აქტუალიზების ხერხი. პაციენსი აქტუალიზდება პასიური კონსტრუქციით: „მთლიანად დავუთმოთ გზა **სიახლეს**. ეს ცარიელი *სივრცე უნდა შეივსოს სიახლით*, ახალი მენტალიტეტით, ახალი აზროვნებით, ახალი **სახელმწიფოებრიობის** განცდით“. აქ საყურადღებოა საერთო ფუძის მქონე ლექსიკური ერთეულების (სიახლე, ახალი) რეკურენციაც, რაც პოლიტიკური სიტყვის ზეგავლენის ძალას ზრდის.

მიხეილ სააკაშვილი წინადადების შინაარსობრივ აქცენტს ზოგიერთ შემთხვევაში მორგებულად ქმნის ნეიტრალური, არამარკირებული სიტყვათა რიგით (SOV): „**საზოგადოება ყველაფერს გააკეთებს** გამჭირვალეობის, **თავისუფლების** პირობებში.“

გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკური სიტყვის განსაკუთრებული მახასიათებელია აპელირება ამომრჩევლის (როგორც საერთო ისტორიული და კულტურული გამოცდილების მქონე საზოგადოების) ეროვნულ პროფილზე, ნაციონალური სპეციფიკის აქცენტირებით. კონტექსტური ანტონიმური დაპირისპირება ვერბალიზდება ერთეულებით: „პოლიტიკოსი“ – „ქართველი კაცი“, ნაციონალური სპეციფიკის წარმომჩენია მსაზღვრელი „საკუთარი“, რომლის გამეორებაც განსაკუთრებული ლინგვისტური საშუალებაა: „პოლიტიკურმა წყობამ ქართველ ადამიანს უნდა მისცეს **საკუთარი ნიჭის, საკუთარი განსაკუთრებულობის, საკუთარი უნიკალურობის** გამოვლინების შესაძლებლობა და არ შეცვალოს მისი ბუნება.“

გიორგი მარგველაშვილი იყენებს ე.წ. CLEFT კონსტრუქციებს, რომლის პირველი კომპონენტი ყოფნა მეშველზმნიანი ფორმით არის წარმოდგენილი, აქ მთავარი წინადადების ნაცვალსახელი ზმნის კლიტიკასთან ერთად ქმნის შედგენილ შემასმენელს, ხოლო მეორე კომპონენტი, დაქვემდებარებული წინადადება არის კომენტარი პირველი კომპონენტის ტოპიკურ სახელზე: „*ესაა დემოკრატიული ქვეყანა*, სადაც დაცულია ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, უფლება..“, „*ესაა ქვეყანა*, რომელიც **საიმედო** პარტნიორია მსოფლიოს თანამეგობრობისათვის, სადაც სამოქალაქო **საზოგადოება** ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად ვითარდება, მაგრამ მუდმივად ქმედითად აკონტროლებს მას...“

ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსურ საშუალებათაგან გიორგი მარგველაშვილთან სინტაქსურად ჭარბი ერთეულების გამოყენების შემთხვევებსაც

ვხვდებით. ქართული ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა სუბიექტსა და ობიექტს მარკირებით ასახავს, რაც გამორიცხავს წინადადებაში პირის ნაცვალსახელთა წარმოდგენის საჭიროებას. თუ პირის ნაცვალსახელები მაინც არის გამოყენებული, ისინი სინტაქსურად ჭარბი ერთეულებია, თუმცა ინფორმაციის სტრუქტურირებაში მათ განსაკუთრებული როლი აქვთ, ისინი სუბიექტისა და ობიექტის ტოპიკალიზებას უზრუნველყოფენ, წარმოაჩენენ შესაბამისი პირის როლს გადმოსაცემ შინაარსში: „...პირველ რიგში მე მინდა ვთქვა იმის თაობაზე, რომ ქართველი კაცი პოლიტიკოსმა არ უნდა შეცვალოს“. აქ ჭარბია პირველი პირის ნაცვალსახელი. ამ ერთეულით ხდება მე-ს აქცენტირება.

ამდენად, პოლიტიკურ დისკურსში წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებისათვის გამოყენებულია სხვადასხვა სინტაქსური საშუალება. მათი მეშვეობით უზრუნველყოფილია შინაარსის სოციალური ფუნქციის ვერბალიზება და ინფორმაციის პრაგმატიკული ღირებულების წრმოჩენა.

### ლიტერატურა:

1. აფრიდონიძე, შ., 1986. სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში. თბილისი: მეცნიერება.
2. აფრიდონიძე შ. 1986. სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში. თბილისი: მეცნიერება.
3. ასათიანი რ., 2009. ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდელები ქართულში, ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში, თბილისი: მაცნე.
4. დავითიანი აკ. 1973. ქართული ენის სინტაქსი. I. მარტივი წინადადება. თბილისი: განათლება.
5. შანიძე აკ. 1973. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
6. Дресслер В. 1978 . «Синтаксис текста». Новое в зарубежной лингвистике. VIII. М., «Прогресс».
7. van Dijk Teun A. 1980. MACROSTRUCTURES. An Interdisciplinary Study of Global Structures in Discourse, Interaction, and Cognition. LAWRENCE ERLBAUM ASSOCIATES, PUBLISHERS, Hillsdale, New Jersey.
8. van Dijk Teun A. 2016. Sociocognitive Discourse Studies, Chapter to appear in Handbook of Discourse Analysis (to be published by Routledge. John Richardson & John Flowerdew, Eds.).
9. Tannen D., Hamilton H. E., & Schiffrin D. (Eds.). 2015. The handbook of discourse analysis. Malden, MA: John Wiley & Sons, Inc, 2015.

ზვიად გამსახურდია

[https://www.youtube.com/watch?v=x\\_tAIrLH1XM&ab\\_channel=DanielSavaneli](https://www.youtube.com/watch?v=x_tAIrLH1XM&ab_channel=DanielSavaneli)

[https://www.youtube.com/watch?v=LOSXbmUyZR0&ab\\_channel=MananaArchvadze-Gamsakhurdia](https://www.youtube.com/watch?v=LOSXbmUyZR0&ab_channel=MananaArchvadze-Gamsakhurdia)

[https://www.youtube.com/watch?v=wsFFS-u8F60&ab\\_channel=MananaArchvadze-Gamsakhurdia](https://www.youtube.com/watch?v=wsFFS-u8F60&ab_channel=MananaArchvadze-Gamsakhurdia)

ედუარდ შევარდნაძე:

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ | N161-162(2078).

მიხეილ სააკაშვილი:

<https://myvideo.ge/v/3131576>

<https://www.youtube.com/watch?v=R92A7LRVf4>

გიორგი მარგველაშვილი

<https://youtube.com/watch?v=ZCLRMu1-7-Q>

<https://www.youtube.com/watch?v=aDQU1UMkDNO>

<https://www.youtube.com/watch?v=X-3Yif2teBQ>

Nino Pkhakadze

## Syntactic Means of sNtence Information Structure Formation in Political Discourse

### Abstract

Information about objects and events of the outside world, their interrelationships is diverse and multifaceted. Their linguistic transformation is not chaotic but orderly. Linguistic transformation of information is, of course, possible through language. Language is a modeling system.

The difference of languages is related to the world view of the respective language groups, cultural stereotypes, the existence of linguistic mechanisms and the possibilities of their realization.

The linguistic range of information realization is wide. The sentence is an important structural unit in this regard. This value increases within the text, because the latter presents the relations of language segments in a common content-structural framework.

The main function of communication is transfer of information. Not all pieces of information are equally valuable. The central element of main pragmatic value is actualized in various linguistic ways. Information is modeled by formally labeling the actualized element. In order to model a sentence in political discourse, various syntactic means of organizing the information structure are used: functional actualization, word order, locatives, syntactically redundant units, the so-called CLEFT - constructions, clitic constructions with multiple verbs.

Through them, the verbalization of the social function of the content and the presentation of the pragmatic value of the information are ensured.

**Key words:** Linguistic transformation of information, language, modeling system.

**რეცენზენტები:** აკადემიკოსი ავთანდილ არაბული